

ბათომის მათემატიკა



ბათომის კლიტე

№ 32

1920 წ.

ივლისის 4



ა.წ.

წყალთა მეფის ხელთ უპყრია კობტა ვერცხლის სინი, ზედ ბათომის კლიტე უმეცს, ნაპოვარი შორსა. ტუფის ეტყვის: „აჰა, შესწულა შენ მტერთა სისინი... ჩიბბრე, ძლივს წავიაროვი ეს კლიტე ზღვის ღორსა!“

ქ ი უ რ ი.

გუშინ დილით პატარა, მაგრამ არა სასიამოვნო წერილი მივიღე.

აი ის წერილი:

„პატივცემულო ეშმაკო! სახალხო გვარდის მთავარმა შტაბმა თქვენ დაგნიშნათ საკონკურსოდ წარმოდგენილ მარშების შემოწმებელ ჟიურის წევრად. თქვენ თანხმობა განაცხადეთ, ხოლო ჟიურიში მონაწილეობა არ მიიღეთ. ამის გამო, გულის სიღრმეშვენიერად აღშფოთებული მთავარი შტაბი სახალხო გვარდიის სასტიკ პროტესტს და უკმაყოფილებას გიცხადებს და სწყვეტს თქვენთან ყოველგვარ კავშირს. შტაბის თავმჯდომარე ვლიკო ჯუღელი.“

მთელი გუშინდელი დღე არ მიძინია, ისე სამწუხარო და დამამეჭრებელი იყო ჩემთვის ეს პატარა ბარათი.

მწუხარებას ჩემსას უფრო ის გარემოება ართულებს და ამძიმებს, რომ სრულიად უდანაშაულო ვარ ღვთისა და გვარდიის წინაშე. უმიზეზოთ ამ ქვეყნად არაფერი ხდება და მეც მაქვს, ჩემი შეხედულებით, საპატიო მიზეზი ჩემი მოქმედების გასამართლებლათ. მართალია, მთავარმა შტაბმა უკვე გამრისხა და ჩემსას აღარაფერს იწამებს, მაგრამ გვარდიელები, დარწმუნებული ვარ, ჩემს მოკლე განმარტებას მოისმენენ და ჩემს პრეს იეს ალადგენენ.

მაშ სმენა იყოს და გაგონება.

მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ სახალხო გვარდიამ კონკურსი გამოაცხადა მარშებ და რომ ჩვენი კომპოზიტორები, განსაკუთრებით ცოცხლები, ენერგიულათ შეუდგენ მარშების წერას, თუ გადაწერას.

ვიტყვი იმასაც, რომ მე მოუთმენლად მოველოდი შეჯიბრების დანიშვნას, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, შტაბი მიმიწვევდა ჟიურის წევრად და ამ გვარად მეც ჩემს წვლილს შევიტანდი სახალხო საქმეში.

„არც კაცი ვარგა, თუ ცუცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!“

ამის გამო ადვილი წარმოსადგენია ის ქვეშაირიტი სიხარული და თუ გნებავთ აღტაცებაც, რომელიც ბუნებრივად განვიცადე, როცა რუსთაველის პროსპექტზე შეიხვედა ჩემი ძვირფასი მეგობარი კოტე ფოცხვერაშვილი და მითხრა:

— ეშმაკო! შენ არ დაგაიწყედეს, რომ ზეოლ სადამოს სახელმწიფო თეატრში ჟიურის წევრად ხარ დანიშნული.

- რაშია საქმე?
- მარშების კონკურსია დანიშნული.
- დიდი სიამოვნებით, მაგრამ...

— ახლა ნუკი გაინაზები... ყველა რომ ეგრე მოიქცეს, კონკურსი აღარ შესდგება.

— სხვები ვინ იქნებიან?

— სულ ჩვენები არიან... შენი მეგობრები...

— მაინც?

— მაინც... ჩამოგივლი, ოღონდ უარს ნუ გვეტყვი. პირველათ დავასახელებ ლეო ნათაძეს...

— ვიცი, ძალიან კარგი, ჩინებული კანდიდატი!

— მეორეთ ვეგენი დარჩია, კომპერატულ კავშირთა გამგეობის თავმჯდომარე. ალბათ იცნობ.

— რას ამბობ კაცო, ვიცნობ რომელია, იმითი მიღვია სული.

— მესამე, ამხანაგი დობორჯგინიძე... პროფესიონალურ კავშირთა სექრეტარიატის...

— ვიცნობ, ვიცნობ, ჩემო კოტე, მაგრამ ალფესი ხელში რატომ არ მოიწვიეთ?

— პროფესიონალურ კავშირებიდან ერთი კმარა.

— ესეც მართალია, შემდეგ?

— შემდეგ აპოლონ ორაგველიძე.

— ა?

— აპოლონ ორაგველიძე კულტურ ნაწილში მუშაობს, კარგი ბიჭია.

— შემდეგ.

— დათიკო საღირაშვილი. მთავარი შტაბის წევრია...

— ახალ ამბავს კი შეუბნები... შემდეგ?

— შემდეგ, ალექსანდრე ჟორჯოლიანი.

— ეს რა კაცია?

— პუბლიცისტი.

— ძალიან კარგი. მერე?

— ალიოშა წუწუნაია.

— კარგი და პატიოსანი. მერე?

— სოლომონ ფრიტაძე.

— ეს რაღა კაცია?

— ქალაქის თავი უნდა იყოს სადაღაც პროვინციაში.

— ჩინებულია. სხვა არის კიდევ ვინმე?

— როგორ არა. ვარდენ ქლიბაძე (რკინისგზის კონსტრუქტორი) მაქსიმე მთვარაძე (აბანოში მოსამსახურე) სპირიდონ თიფიშვილი (მებოსტნე, საბურთალოზე) მათე ხარიპარიაშვილი (მანონის გამყიდველი) და იორდანე ქვირითიანი (თევზის მოვაჭრე).

— ჩინებულია, პირდაპირ ჩინებული! დიდის სიამოვნებით მოვალ მეც და ჩემს სიტყვას დაეწევი საზოგადოებას.

კოტე ფოცხვერაშვილი გამომეთხოვა და სადაღაც ზევით აუყვა, მე ჩემი გზა განვაგრძე.

ზედმეტათ არ მიმანია განაცხადლო, რომ მძავს მეთჩარა ხალხი. არ მიყვარს, როცა გამოხტება ვინმე და მისთვის შეუფერებელ საქმეს წაეპოტინება. საბედნიეროთ ქართველ კაცს იშვიათად სჭირს ასეთი სენი, მაგრამ აქა იქ ჩვენშიაც შეხვ-

დებით მეტიჩარა პირებს. როდესაც კოტე ფოცხვერაშვილიმა ქიურის წევრები დამისახელა, მე ძლიერ ნასიამოვნები დავრჩი და ამიტომაც დასწრება აღუთქვი.

მარამ... (ღიას „მეგრამ“) საღამოსვე მეტათ არა სასიამოვნო გარემოება გამოირკვა. სახალხო გვარდიის შტაბს (მე არ ვიცი, იქნება ეს სხვა ვინმემ ჩილინა) სერიოზული ხასიათი ქიურისა ჩაეწიხლა და უკვე ზემოთ აღნიშნულ მუსიკოსთა ჯგუფში ვილაც გარეშე პირები ჩაეჩიხრა. სხვებს აქ არ აღვნიშნავ. დავსახელებ მხოლოდ ვილაც ჩერეზინის, კონსერვატორიის გამგეს. რა ამბავია რა მოხდა ბატონებო... რა კავშირი აქვს ჩერეზინის მარშების კონკურსთან! ნუ თუ საქართველოში კაცი ვეღარ ვიშოვეთ? ქიურში არ იყო არც ფოსტა-ტელეგრაფის, არც ერობის, არც მილიციის, არც ტრამვაის საზოგადოების და არც შოფერების წარმომადგენელი. ბატონი ჩერეზინი კი საღდაც გამოჩანეს და შეაჩიხრეს სიამში.

აშკარათ აღვიარებ, რომ ამ გარემოებამ ჩემში ღირდი აღშფოთება გამოიწვია და გადავწყვიტე მიცემული დამირება უკანვე წამომეღო. ასეც მოვიქეცი.

Всяк сверчок знай свой шестокъ „საღდაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციასგან“ უთქვამთ ჩვენს ძველებს.

აი როგორ იყო, ბატონო ჯუღელო, საქმის ვითარება და არა ისე, თითქოს მე უმიზნოთ შეგვეუნტრუშებულყო და უარი მეთქვას ქიურის წევრობაზე.

ესთხოვ ყველა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

ემმაკი.

შექანჯახლებულის ლექსები!

ჰო, ჰო, ჰო, ჰო... როგორ ცხელა!...
სიცხემ ტვინი გამოთხელა...
ცხელა! სიო არ სძრავს ფოთლებს,
სიცხის ბული ტვინს მიორთქლებს,
(გვჯობ—ვამტვრევ ქიქას, ბოთლებს)
არაყს ვქაჩავ—ვანთებ სანთლებს,
მტკვარზე ვგაორებ კამათლებს...
არ ვიცი, რა გამაგრებებს
(არას ვქამ—ვასვენებ კბილებს).
ქვე თლათ გადამიბრუნდება...
ვიში! ბათომი გვიბრუნდება!!
ჩენი არის კვლავ ბათომი...
მოეწყინათ ალბათ ომი
კუკ-კოლისებს, მის დამქაშებს...
დაუკრავენ ეხლა მარშებს
და შინისკენ მოჰკურცხლავენ...
ახპერ! პოლოს! ეს შატლავეს?

ჩი უზუმა დუნ ქოროხი??
გნა! გნა! თეს გნა! თორემ ჯოხი!
და პოლოსაც შინ აპირებს—
ის ქოროხის ნაპირებს
შწარე კრემლით დაიტორებს...
ეხლა ბათუმის „ნადებო“:—
გიჟებები ყაჩაღები—
ნადენიკინ-ნაკოლჩაკები
(შიშით ანაჩაქჩაკები)
გულს რო უკლავთ სევდის ქვები
სევდები რომ გულს უწყლავენ—
სოროგებში მოჰკურცხლავენ.—
მოსძინიან ისევ სოროს...
მეგრამ... ოჰ! ღმერთმა გვაშოროს
ისინი იქ კვლავ დავტოვოთ—
(კვლავ წელ-ნელა სისხლი გვეწოვონ!);
არა! არა! არ იქნება!
მე ყველას ვთხოვ-შომცეთ ნება—
(გვაწყენს ღირი მოთმინება)
ბათომი მსურს თლად გავწმინდო,
თუნდაც სული წავიწყებინდო,
იქ არავის არ დავტოვებ—
სულ ერთ აღვლს მოვავროვებ
ნადენიკინ-ნაკოლჩაკებს,
ყველას—მხეცებს—ყველა „მგელებს“
ტურას, კატებს, მაჩებს, მელებს
კარაბეტებს და დარჩობებს—
(რომ არ ვასცდენ კვლავ ჩარჩობებს)
მერმე „დროგებს“ დაუძახებ.—
ყველას „არულს“ შეუძახებ
და შე ზღაში გაღრმავებ.
თლად რომ სული წავიწყებინდო,
მსურს ბათომი რომ გავწმინდო...
მერმე დავჯდეთ მოვისვენოთ...
დავჯდეთ ბათომის ბულვარში...
ყველამ—დარში და ავდარში
ვიბანაოთ იქ შეზღვაში,
ასე მომდის შე ის ქვეაში...
თქვენ არ მოგწონთ?! — „ღელა ვაში“
ჰო, ჰო, ჰო, ჰო!.. ვით ჩამოცხა...
წადი კატა—აცხა, აცხა!
(სოფლებში იქცევა ფაცხა)
ოფლმა სახე ჩამოფარცხა—
იმნაირად დაწვა, დამცხა
ვიხდი პერანგს, შარვალს, ტუფლებს
ეს! რა გშველება სოფლებს—
ყველასგან დანაობლებს
(კისერში ჰკრეს დანა ობლებს)
ყველასგან მონაძლეებს
ვაი, ვაი... ძმავ ქიშვარდი...
დღე ღამ მკლავს შავი დარდი...
ვინ იყიდოს დღეს ძმავ მკალი...
(არსით არ ჰქრის შვების ბინდი)

ას თუმნად ფუთი სიმინდი?
 (ამას ჩუმბათ გეუბნები)
 სად იშოვნონ ას თუმნები?
 სულ გაყიდეს ყველაფერი
 თითქმის ჩოგან(ც-ლაფერი?)
 (რა დაზილონ? არაფერი
 და რაღათ უნდათ ჩოგანი)
 და რაღათ უნდათ ლაფერი...
 აბა ნახეთ დღეს სოფლები—
 თუ სეიდა არ გეუფლებათ???!
 სწორედ ჯავრით შეიშლები!!
 იქ ჰყრიან ტირველ — შიშვლები.
 არც საბანი აქვთ, არც ლები
 აღარც ფიხზე, არც ს-ცვლები...
 საბრალონი! ემხ! საწყლები!
 სოფლებს არა აქვთ იღბალი—
 თუმცე ეხლა აქვთ—ალუბალი,
 და მწიფე-მწიფე ტყემ ლი
 (შიშვილის კარგი წაშალი)
 ზოგს კეფერას ნედლი მხალი,
 ზოგსაც სიფენისო მხალი...
 (სქამონ — დაყოლონ წყალი...)
 ზოგსაც ცერკვი, ზოგს ლობიო.—
 (ხომ ასე არის სოფ-ო?)
 ზოგსაც ცოტა კართოფლი.—
 ხომ ხარ თედო კმაყოფილი?!
 ბალი სქამი და წყალი სვი—
 გულზე მოგივა ხალისი,
 მუცელზე ხელი წაისვი
 უეცრად არ წამოგბეროს
 (ჰკოხე, თუ არ გჯერა— ბეროს!)
 არ მოგწონს ძმაო შერმანდი?—
 მწიფე ტყემლის შექმანდი?...
 ნუ დარდობ თუ არ გაქვს მქალი.
 შოთხინე, იყავ ჩუმი...
 მო, გიკეთდა აბრე შუმი?
 ხო, ასე სთქვი... არის კარგი!
 სამ ათასად ფუთი პარკი—
 ამით ორ ფუთს ფქვილს იყიდი.—
 ტომრით ზურგზე მოიკიდი
 და ცოლშვილთან ჩქარა მიდი.
 თეკლემ ცოტ-ცოტა დააცხოს
 ბავშვებს ფრთხილად ტუჩს წააცხოს,
 თვით უსუნოს მქადის ყუას—
 მე გასწავლით ასე კეუას.

ჩოგანი ძველთა,
 ღომის დასაწელია,
 მაგრამ შამოგველია.—
 არ გვაქვს ერბო ყველია
 არც გვაქვს არაფერია
 საშვალეა არა გვაქვს
 ვჭამოთ მქალი ღომია
 ყველას მაშინ ვახსოვართ
 თუ გაჩაღდა ომია...

თუ რომ იტყვი ია უას!
 აბა, დელი, დელი, დელი...
 ჩვენ პური გვაქვს მოსამკელი...
 მოვიმარჯვოთ ყველამ ხელი—
 ვინაც კი ვართ თფლისელი,
 პური გვერგო ჩვენ ბორჩალოს,
 დავსძახებ პარი არალოს,
 „პოპუმს“ აქ დავაგუგუნებთ—
 პურსაც მოვმკით ჩვენ წლის სარჩოს—
 (ბრაზი ჰკლავს მეფურნე დარჩოს
 და თავს ახლის რკინის ჩარჩოს
 ძვირი პური აწ ვინ ჩარჩოს?)
 ერთი შეხებით რკინის გზტლებს,
 იმარჯვებენ-ხელში ცვლებს,
 მათაც პური მოსამკელი—
 დმერთმა მოუმართათ ხელი.
 სქამონ ლავაში თხელი-თხელი...
 წილათ ხედათ ახალქალაქი...
 (სოფლებმა სქამონ დალაქი.)
 ეს ქორი კა არ გეგონოთ?!
 ნათელია დღესავითა...
 „კალმახი და ქერის პური,
 მათ ეყრება ბზესავითა“
 ვინ არ იცის ჯავახეთი
 (რომ გვედავება სომხეთი)
 თუ პურით რა მდიდარია...
 (რას გვიშ მს აწ ზამთარია?)
 შურიო გვიცქერს ქუთაისი
 ქალაქებიც მსავსი მისი,
 წილათ არ ხედათ პურის მაზრა==
 (და გულმა ეს დღეს მაზრა)
 რომ ჩამოსდით მათ ცრემლები—
 პურს მოგვებოვენ იმერლები.
 მაგრამ... ნურას!... ძმავ შერმანდი.—
 ჩვენ პური, თქვენ ლოპი-მქალი...
 არ შემოგვრწყრეთ იყავთ დინჯი...
 აღომ რუსებს მისცხ ბრინჯი...
 თვითონ დარჩენ კი უფლაოდ...
 გარდაიქცენ სასაფლაოდ...
 და „წითლების“ სასაკლაოდ...
 ჩვენს ბოლშევიკთ მოსწონთ ზავი
 აზერბეჯთან შენაკრავი...
 ყოყოჩობენ... მოაქვთ თავი...
 გამარჯვებას შიგ ხედავენ...
 „ფვითგამორკვევას“ იცავენ,
 გამოარკვევით კი ჰხოცავენ...
 ვით მონადირე „ჩაიკას“
 ეს ზნე სკირს „ჩრვზვიჩაიკას“

შექანჯალებული.



პატრონ ფელეტონი

მოპარული ოცნება.

გამხელილი ცოდვა, თითქმის ნახევრად მიტე-
ვებულია.

მე ქურდი არა ვარ. წარმოდგინეთ ღღევან-
რელ პირობებშიაც არაფერი მომიპარავს.

უბრალო ვაგონი რა არის, რკინის გზის ვა-
გონი, ისიც კი არ მომიპარავს.

ეს ჩემი ღღევანდელი ქურდობა პირველი იყო
და ავი ამისთვის მამხილა სინდისმა, ნაქურდალი
ვეღარ დავმალე და და თქვენს წინაშე მინდა გა-
მოვადგინო.

ის, რაც მე მოვიპარე ისევე იქ დარჩა, საიდა-
ნაც მე მოვიპარე. პატრონს არაფერი არ დაჰკლე-
ბია, ამ მხრივაც ჩემი დანაშაული შეიძლება შემ-
სუბუქებულ იქნეს.

მე ძლიერ გამაკვირვა იმ სასიამოვნო ღიმილმა,
რომელიც ივან ივანიჩის სახეზე ბოლშევიკების
თფილისში ჩამოსვლის დროს დავინახე.

ივან ივანიჩი წმინდა წყლის დენიკინელი იყო.
მისი ამხანაგები ბოლშევიკებმა ყველანი დახვრი-
ტეს. იმათი ქონება დაიტაცეს. ცოლ შევილი...

დღეს ივან ივანიჩი, როგორც ჭეშმარიტი რუსი
ოცნებით მხიარულობს. ის ფიქრობს—რაც უნდა
იყოს, ბოლშევიკი მაინც რუსია, მაინც ჩემი ძმაო,
მხოლოდ ბოლშევიკებს შეუძლია ადრინდელი რუ-
სეთის აღდგენა; მხოლოდ იმათი საშუალებით შეი-
ძლება მეფის ტახტის აღდგენა; იმათი ხიშტით
უნდა გაიგვიროს ეს უმადური საქარ...

და იხატება ივან ივანიჩის წინაშე ბოლშევი-
კური საქმე ერთი მეორეზე მომხიბვლელი, ერთი
მეორეზე უფრო მიმზიდველი.

და უნდა გამოავლინდეთ, ივან ივანიჩა დღეს
თითქმის ყველა ადგილობრივი რუსი, მისი ცხრა
მეთათვი მაინც.

აღოლფ აღოლფოვიჩი ნეტავს რატანს იცინის?
ნუთუ ისიც შეგვარებულია ბოლშევიკებზე?

შეიძლება ისე ერთპირად არა, როგორც ივან-
ივანიჩები, მაგრამ აღოლფ-აღოლფიჩსაც გულში
ტკბილი იწედი უხიციანებს.

— ბოლშევიკები ჩვენი ერთგული და მტკიცე
მოკავშირენი არიან. მხოლოდ იმათი საშუალებით
შეიძლება ჩვენი საქმეები გამოსწორდეს. მიწა,
ვაჭრობა, გავლენა.

და წავიდა აღოლფ აღოლფიჩი ტკბილს ოც-
ნებაში.

— მხოლოდ ბოლშევიკები მიგვიყვანენ ჩვენ
აღოლფის ქვეყანაში, ოცნებობს ხანმ ხანმოკლე,

საქართველოში შემოხიზნული ებრაელი სპეკული-
ანტი.

ბოლშევიკები ჩვენ ვერ გავგწირავენ, ჩვენი
სისხლი და ხორცი არიან. ისინი ზრუნავენ ჩვენს
სიმიდრესა და კეთილ-დღეობაზე. დაე მოვიდნენ...
აი ბორისა ბროცკი უკვე მათი ავტომობილით
დადის. ჩვენი ქალაქი მას ჩააბარეს...

და მიჰქრის ებრაელი სპეკულიანტი ოცნების
ფრთხილად შორს, შორს, აღოლფის ქვეყნისაკენ.

ამბარცუმ ამბარცუმოვიჩი წინა რიგში იდგა,
როცა კიროვი სახლის აივანდან დეკლარაციას
კითხულობდა.

— ბოლშევიკ. ოპ შენი კირიმე ბოლშევიკ,
ოცნებობდა ამბარცუმ ამბარცუმოვიჩი.—განჯაში
ბოლშევიკებმა ჩვენს მაგიერ შური იძიეს... აქაც
იძიებენ. იქ თათრებზე, აქ ქართველებზე...

და აღფრთოვანებულმა ამბარცუმ ამბარცუმოვი-
ჩმა სომხური ჰიმნი დაუსტვინა.

მე ყველაფერში ზომიერება მყვარს. მოპარვი-
თაც იღვინს მოვიპარე რამდენიც საჭიროა, თუმ-
ცა რაოდენობას ნაქურდალისას არა აქვს მნიშვნე-
ლობა, ვინაიდან ნემსის ქურდიც და აქლიშის
ქურდიც ორივე ქურდია.

ამ ზომიერების გამო აღარ შევიჩე იმ გიჟურ
ტყვას ოცნებისას, რომელიც ქართველ კომუნის-
ტთა თავში ნავარდობს. რაზე ოცნებობენ ისინი
და რას გამოეღიან ჩრდილოელ სტუმრებისაგან,
ეს ყველაზე უკეთ მოსკოვის ხაზინას ეცოდინება.

მორიელი.

აჭარისტანი.

სუკინ-ზადე, მისი ძმა, სამი ბიძაშვილი, ხუთი
მახლობელი ნათესავი და ათამდე მეზობელი ახალ-
გაზდები მეტათ კმაყოფილი იყვენ არსებული მდ-
გომარეობით. ყველა მათზე და მათ საყვარელ აჭა-
რისტანზე ზრუნავდა.

ქემალ-ფაშიდან ყოველდღე საჩუქრები და და-
პირებები მოსდიოდა: 40000 ასკერი ლიმანშია და
ხეალ საღამოს ბათუმში იქნებაო. მართალია ორი
თვეა რაც ასეთ დაპირებებს მიირთმევდა სუკინ-ზა-
დე და მისი კონია საუზმეთ, მართალია ორი თვეა
რაც ასკერები მოდიან ლიმანიდან და ჯერაც არ
მოსულან,—მაგრამ აჭარლების მოსატყვილებლათ
ესეც საკმარისი იყო. ხოლო სამმა ღირებით შეი-
არაღებულმა ოსმალოს აფიცებდა საბოლოოთ დაუ-
მტკიცა აჭარ-ქობულეთს ქემალ-ფაშის კეთილ გან-
წყობილება.

რუსეთში ორი დევი იყო წითელი და შავი.
სუკინ ზადე ორივესთან კარგ განწყობილებაში იყო.
წითელს სოციალიზმზე ეფიცებოდა და შავს მო-

ნარკომზე; ერთსაც ატყვილებდა და მეორესაც, ხოლო მას ორივე ატყვილებდა.

მეგობრობა მაინც ძლიერი იყო: იარაღი, ტყვია, წამალი და ფული ორივესაგან ბლომით მოდიოდა.

ყველაზე უფრო სუკინ-ზადეს ინგლისელების „ნიეტრალიტეტი“ ახარებდა. როგორც კი საქართველოს ჯარი შეუტრედა სუკინ-ზადეს მაშინვე ინგლისელები მფარველობის კალთას გადააფარებდნენ და საქართველოს ჯარს უკან დაახევინებდნენ.

ასე ბედნიერათ მიდიოდა სუკინ-ზადეს ღლეები. ერთხელ საყაფეში მე და სუკინ-ზადე წარდს ვთამაშობდით.

განსაკუთრებით ამისთვის მომწონს მე აჭარისტანის მესვეურები: ყველა საუცხოვო მონარდვა. თავუნა ხომ სახელგანთქმული მონარდვა (იხ მისი ლექსი „ღუბეში“), მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, სუკინ-ზადესთან იგიც თითს მოაკვავებს.

ჰო და ვთამაშობდით წარდს. საყაფეში ხასანა შემოვიდა.

ხასანა მეტათ ღინჯი კაცია. რამდენი ძნელი საქმე შეუსრულებია, მაგრამ აღელვებული ერთხელაც არავის უნახავს. იმ დღეს კი ხასანა მეტათ აღელვებული იყო.

— რას გვატყვი ახალს, — ხასან ეფენდი? — შევეკითხე მე. — იარაღი თუ მოგცა იონინმა.

— 17 ამ თვეს 100 000 პატრონა ჩაიბარე და გავგზავნე კიდევ 5 ფურგონით ხულოში.

— გზაში ხომ არაფერი შეემთხვევიალათ? — არა.

— მაშ რამ აგაღელვა? — ინგლისელები მიდიან.

— როგორ მიდიან? ერთბაშათ შევეკითხეთ მე და სუკინ-ზადე.

— სულ მიდიან. ეხლავე სამხედრო თათბირი უნდა გავმართოთ.

საყაფეს უკან, ცალკე ოთახში საჩქაროთ გაიმართა სამხედრო თათბირი. თათბირს ჩვენებს გარდა დაესწრენ დენიკინელების და ბოლშევიკების წარმომადგენელნი, როგორც სპეციალისტები და აჭარისტანის მეგობრები. თათბირმა მთავარ სარდლათ ერთხანთ აირჩია სუკინ-ზადე, როგორც ყველაზე გამბედავი, კარგი ცხენოსანი და მონარდვე, ხოლო სახელი შეგუცვალეთ: სუკინ-ზადეს მაგიერ კის-კინ-ზადე დავარქვით.

ეს ტაქტიკური ხერხი ვიხმარეთ ინგლისელების მოსატყვილებლათ: კის-კინ ინგლისური სიტყვაა: მაკოცე, კინი ზად-რუსლი: — გავა, უკანალი.

საჭირო იყო დადგენილების გამოქვეყნება, ეს ჩვენმა მოკავშირეებმა ბოლშევიკებმა იკისრეს. საღამოს „ნაშ-კრაიში“ ეწერა:

— ინგლისელები მიდიან და აჭარისტანის მთავარ სარდლათ დაინიშნა კის-კინ-ზადეო.

კის-კინ-ზადემ უკვე მოიწვია შტაბში აჭარის-

ტანში გამოჩენილი პირები, მთავარ აღიუტანტათ დაინიშნა პაიჭაქე, ცნობილი აბრაგი (აბრაგი ქართულათ ნიშნავს ყაჩაღს, თათრულათ-გმირს. ჩვენ თათრული შინაარსით ვხმარობთ), უკვე შესდვა აჭარისტანის ცხენოსანი პოლკი. პოლკში ითვლება 3 აჭარელი, 15 დენიკინელი და 5 ბოლშევიკი. ეს პოლკი ძალიან წააგავს ბაქოში კომუნისტების მიერ შედგენილ ქართულ პოლკს. სურსათი, იარაღი და ცხენები პოლკმა ბათუმის საოლქო მილიციიდან მიიღო.

კის-კინ-ზადეს არც ქვეითა ჯარი დაეწყებია. ქვეითა რაზმის შედგენა მე მომენდო, ჩვეულებრივი ენერგიით შეუდექი საქმეს, სამ ღლეში უკვე სამსაკაცამდე მოვუყარე თავი.

ახლა არ იკითხავთ ამოდენა ლაშქარი როგორ მოგაგროვე?

სულ ადვილათ.

ღუნდუკოვ-კარსაკოვის ქუჩაზე, როგორც მოგეხსენებათ, ბლომითა ყაიხანები იქ, ყოველ საღამოს ნახავთ თქვენ ახალგაზღვებს: წარდს თამაშობენ, ნაკივს, ან ოსმალურ ყაფეს მიირთმევენ, თუმცა არსად მსახურებენ და არც მუშაობენ. ესენი ნამდვილი თავისუფლების მოყვარე ხალხია. აი, ამთვან შევადგინე მე ქვეითა რაზმი. რაზმი აჭარლებისა, რუსებისა, სომხებისა და ქართველებისაგან შესდგება; უკანასკნელებში აბრაგობით (თათრული მნიშვნელობით) ქუთაისლები ყველას სჯობნიან.

ამ გვართ აჭარისტანის რესპუბლიკა მზათ არის. პრეზიდენტი, იმავე დროს მთავარ სარდლადი გვყავს — კის-კინ-ზადე.

ცხენოსანი და ქვეითა ჯარები გვყავს. ტერიტორია გვაქვს.

ფულებს ქემალ-ფაშა და ბოლშევიკები გვაძლევენ (კოტაოდენი ადერბეიჯანიდანაც გვაქვს დარჩენილი).

იარაღს — დენიკინელები. მეტი სახელმწიფოსაც არაფერი უნდა.

ასე ავაშენეთ აჭარისტანი.

ყველაზე მეტი ღვაწლი კის-კინ-ზადეს მიუძღვის. მაღლიერი აჭარა-ქობულეთი მის სახელს არას დროს არ დაივიწყებს.

გ რ . ს ლ უ ჩ ა ი ნ ი .



გურული სცენა.

(„ბალშეენიკი და მენშეენიკი“)

— აფხანიკო ბალშეენიკო! ერთი აგი მითხარი: სათაა თქვენი თეთრი ჰური?

— ვაი, შენ დაგვესო ყური, სათაა და რუსეთში:..

— რაჲა ყილიენ გირვანქას?

— (დაცინვით.) რაჲა და ოთხაბაზათ...

— ისე ღმერთი შეგარცხვენს შენ ლამაზად, ოთხაბაზათ კიარა, ოთხას ორმოც და ათადაც კი ყილიან მგონი გირვანქას...

— შენს პატრონს უბედურს... იქინე ფულს არა აქ ფასი, თვარა ჰური თავზე საყარათაა...

— წაი და ბეზიაშენი მუატყუე ანუსიე: ჰურის რა მოგახსენო და გვანი და რჯლიანი ტილები კია თურმე თავზე საყარათ...

— შენი აზრით აბა რუსეთს ჰური არ ქონია?...

— იმდენა არა, რავაც შენ ჩივი და პაწე ქე ექნებინე წასახეფსებელი... ბეური თუ ქონდენ ბაქიოდან რეიზა წვილეს?

— შე აბლაღავ, რუსეთში წისქვილებია ბეური, დააქფოვენ და ისეველე მეთანებენ.

— იმის მეთი არ ქამე შენ, რაც იგინმა აწი აფერი მეთანონ, მარა ერთი აგი მიბძანე: ასი ვაგონი ქიშიში, რომ წვილეს იგიც უნდა დააქფიონ, თუ იცი?

— იგი ლელინს გუუგზანა ბაქოს მუშებმა საჩუქრათ...

— „ყავეს არ ქონდა ბუს მიქონდაო“.

— კი მარა მუშებს ვინ მისცა ასი ვაგონი ქიშიში?

— ვინცამ მისცა ასეთ კია და რა გინდა ახლა?

— ფართალიც უნდა დააქფიონ? ნავთიც? მახუთიც? აფთიაქის წამლებიც?

— ჰო, ჰო, ასეთა შენს ჯინაზე უნდა დააქფიონ და რა გინდა ახლა?

— იმის მეთი შენმა კბილებმა არ დააქფია სამაგიერთო ჭყინტი სიმიინდი...

— რაჲა მალაზონსავით იწყველები შე გლახავ, თუ გინდა ლაპარიკო, ილაპარიკე კაცსავით, თუ არა და გჯინებ ერთს ყურის ძირში...

— მჯინებ და კას ამავეს წვილებ შინ, ჯნებმა და სიგლახე კი იცით სხვაი აფერი თვარა... მართალი რომ გითხარი იმიზა შამოგენთო თანკარა?

— რაი მითხარი მართალი?

— ღლეი და ღამე ყურები გამოგვიყრუე ყველას, მუაქვენ, მუაქვენ ბალშეენიკებს, ყორიფელი მოაქვენო და მოტანის მაგიორ თურმე ყორიფელი მიაქვენ... მე მევიგანე თუ? აგინი თქვენ გაზეთში არ ეწერა ყველმე? აგი გითხარი და ამიზა მოგივი-

და კუქი? არა ბიძია, არა, შენისთანების არც მოტანილი მინდა და არც წაღებული.

— ისე ღმერთი შეგარცხვენს შენ...

— ღმერთიც შეგარცხვენს და ხატიც, მარა შენისთანა კაცს რა ეშმაკი შეგარცხვენს, სირცხვილისლონი შენ ჭალიც არ გიქამია მგონი...

რ. ჯიბილ.

საჩხერის იუბილეი.

დაბა საჩხერის აბლაკატების ინიციატივით, გადახდილი იქნება ორმოცი წლის იუბილეი. საჩხერის საზოგადოებაში კარგათ ცნობილ მცხოვანი აბლაკატის იაკობ იაკობიანცის პატივსაცემათ.

იშვითად მოიძებნება საჩხერეში შემამულე, რომელსაც თავის ადგილ-მამული ხუთჯერ მაინც არ გაეყიღოს, სხვა და სხვა პირებზე და (ერთი და იგივე მამალი) საქიროა აღინიშნოს რომ საქმის მოკვარაბქინება იურიდიულად, იაკობს ქონდა დაკისრებული. ის ღღემდე პირნათლად ასრულებს ნაკისრ მოვალეობას. თუმცა მოხუცებულია, მაგრამ საქმეს დიდი ენერჯით ეკიდება.

ის როგორც გამოცდილი და აღზდილი ნიკოლოზის კანუნიებზე, დემოკრატიულ რესპუბლიკაშიაც დიდებულათ აწყობს მახინაკიებს, მისი კოლეგა დავით დვეიანცს ვაცილებით სჯობნის.

საჩხერის საზოგადოება დიდათ აფსებს მათ მოღვაწეობს და დიდი ზემოთ ემზადებიან დღესასწაულისათვის. იუბილე დღის წესრიგი ასეთი იქნება:

1, ქალაქი იქნება მორთული დენიკინის დროშებით.

2, „მოდი ნახეს,“ ციხიდან ოცდა ერთჯერ განსვრიან ზარბაზანს ნიშნათ პატივისცემისა.

3, საჩხერის მთავარ ქუჩაზე, ვაგზლიდან სხვიტორის ჩასახვევამდე, ტრაპეზი მთელი დღე შეჩერებული იქნება.

4, ქარვასლები და მალაზიები და ყველა დაწესებულება დახურული იქნება.

5, იუბილიარს მიულოცევენ აბლაკატთა წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან. საჩხერიდან ვეს. ტყემალიანტი.

6, ქალაქი საღამოს ელექტრონებით იქნება გაჩაღებული.

7, ნადიმი გაიმართება საპატიო პირებისათვის აღმასხანის სასტუმროში.

მართალი უთქვამს დიდებულ მგოსანს „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

მაშხალა.

საბჭოთა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა.



საბჭოთა რუსეთის „მალაზია“ წინიდან.

თ ხ ო ვ ნ ა

თხოვნას მოგართმევ **შირიან**
„პოლიტ-კომ“ ნახოტურისა,
თვალის მდევნელო ავკაცთა
აე საქმის მგდებო ყულისა...

სწორ უბოვარო მოხელევ
ამ დარგის სამსახურისა,
კეთილის მცველო, ბოროტზე
მაძიებელო შურისა.

ვით დამნაშავეს მსაჯულმა
გთხოვ მეც მათხოვო ყურია,
ფოთის სახალხო გვარდიის
ნაწილში მიმსახურია,

თუმცა მე იგი მომცილდა
ლორის ხორცს, ვითა ურია,
მარა სიმართლე ბარელამ
ბოლომდე ითქვას მწყურია.

მერომ გუნდიდან გამორიცხეთ
ვით გამყიდველი ქაცარის,
ცხენის და ნოხის ქურდები
ამ გუნდში კიდევ რაც არის

სხვა და სხვა გვარი ჯიშისა
ხომ არ გაქვთ ხათრი შიშისა?
რათ არ ისჯება ისინიც
როგორც რიგი და წესისა?
თუმცალა ცხენის ქურდობა
თხისაზე უკეთესია.

სხებთან რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა.



იგივე „მალაზია“ უკანიდან.

მარა ეს კიდევ არ ნიშნავს
ქურდობის პატიებასა
და გვეყიბები, ვით მსაჯულს,
თუ მომცემთ ამის ნებასა.

როდის იქნება გარჩევა
ჩემსაებ ცოდვილ გვაშების
რადგან ეგ საქმე, როგორც გუნდს,
აგრეთვე მეც შეამების

ერთი რომ მათაც იპრონ
გზაჩემგან მწარედ ნავალი
მისთა ქურდებმა ვერც ერთმა
ვერ ნონ გამოსავალი.

სხემსტუ მოიპარა
ჩემი დასჯა კარა?
ეს თუ არ არის მსაჯულნო
ცოდვა ვატეხა სჯობია

სხებთან მეც უნდა დავრწმუნდე
ყოფილა ჯიბალობია

მაშინ მოვიკრებ ქურდობის
ძალ ღონე რაც მბაღია
სხვილ ფეხს ვიპარავ შემდეგ კი —
უკან მიმიღებთ ცხადია

თვარა ამ საქმის დევნაში
თავი არ დამიზოგია
ქურდები ყველა გამოტყდეს
ძიკი იყოს თუ გოგია

რაც თქვენ გამრიცხეთ უცრემლოდ
პირი არ დამიბანია
სხვების დასჯა: აც მოველი
თქვენგან დასჯილი...

მონდობილობით ბუტუნა.

მცირე დარიგება ჩვენი ახალი „სტუმრებისათვის“

ახუ როგორი ეოფუქცევა ითვლება ჩვენში უწესოთ.



საზოგადო ადგილას კიბამდე გულის მოღეღა.



ქუჩაში გამგელელისთვის გვერდის ვაკვრა.



საქიბის გაღრმავებისას ცხვირის წესტოს გაღრმავება.



იბრაჰიმე ფურთიგბა.



დაღვრილი ჩექმების უალოგო აღივას ჩავდება.



სხვისა თუ ფუზიდან ლუკმის აღება.

საერთაშორისო ცეცხლი



კომუნისტი. ჩვენ რუსეთში გავაჩაღებთ რევოლუციის ესეთ კოცონს, რომ მისი ალი მთელს ქვეყანას მოედვას და საერთაშორისო ცეცხლში გაჭხვიოს დედამიწა. (ცეცხლს უკიდებს თავის სახლს)

ფ ლ ა ვ ი

1) *ბაქოს* კომუნისტებმა 50 ვაგონი ქიშიში გაგზავნა მოსკოვში.

2) *ბაქოს რეკოვმა 10,000 ცარიელი რომარა გაგზავნა ენზელში ბრიჯისთვის მაგრამ კუჩუხანსა ბრინჯის მიცემაზე უარი უთხრა, კომუნისტებს,* (გაზეთებიდან).

ა

ის იყო თენდებოდა, როცა ქიშიშით დატვირთული 50 ვაგონი მიადგა წითელი მოსკოვის სადგურს. მოკოვი დიდი ხანია ელოდა ამ საჩუ-

ქარს „ბაქოს პროლეტარიატისაგან“ და ამიტომაც სადგურზე სოფნობოზის წარმომადგენელთა გარდა აურებელი რეკომები, ისპოლოკომები, ნარპუტები, ვოლკომები, ვეჩიკები და სხვა წარჩინებულნი დახედნენ.

- გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს!
- გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს!
- გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატის ლიდერს სულთანოვს! ალტაყებით ყვიროდნენ დამხდურნი და განა ხუმრობა იყო დამშეულ მოსკოვისთვის 50 ვაგონი ქიშიშიში!
- ამხანაგებო—დაიწყო კუზმამ, რომელმაც ბაქოდან ქიშიშიში ჩამოიტანა,—წითელ აზერბეი-

ორი კომუნისტი



ჯანმა დაიწყო გადმოქცევა მოსკოველ ამხანაგებს გულწრფელი სალაპი და ნიშნათ პატივცემისა მოგიძღვნათ ეს 50 ვაგონი ქიშიში. თანაც დამავალეს გადმოცემა, რომ ამ დღეებში იმავ საბჭოთა ადგილებზე გამოგზავნის თქვენ სახელზე ამდენსავე ბრინჯს.

— ბრავო, გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს, მძლავრათ ყვიროდა ხალხი.

— სანამ ბრინჯს მოვიტანდე, განაგრძო კუხვამ, თქვენ ქიშიში დაარჩიეთ, რომ აზ. ლენინს იუბილე აღმოსავლეთურ მუსულმანურ ყაიდაზე ფლავით ვიღღესასწაულოთ. ასეთია ამხანაგებო სურველი წითელ აზერბაიჯანისა.

ბ

მაქას სოენარხოზი, ღიდ ფაქა-ფუცშია, მას ბრინჯისათვის ათი ათასი ტომარა სჭირია. ხუმრობა ხომ არ არის ამდენი ცარიელი ტომარა ასე ერთბაშით. მოახდინეს ტომარების „წითელი სუბოტნიკი“, გამოაცხადეს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყოველ მუსულმან ქალს

უნდა მოეტანა სოენარხოზისთვის თითო ჩადრი, რომ ის ტომრათ შეიკრათ. როგორც აყო შეაგროვებს საკმაო რიცხვი ტომრებ სე, და განსაკუთრებული, — „გლავკობრინჯის“ ხელით გაგზავნეს ენზელში ქუჩუქ-ხანთან.

— რუსეთის წითელ პროლეტარიატის სახელით მოგესალმებით ამხანაგო ქუჩუქ-დაიწყო გლავკობრინჯმა — თქვენ და თქვენის სახით მთელ წითელ სპარსეთს.

— გმადლობთ მეგობარო — მიუგო ქუჩუქ-ხანმა —

— წითელ რუსეთის სახელით მაქვს პატივი წარვსდგე თქვენს წინაშე, როგორც განსაკუთრებული გლავკობრინჯი.

— რაო რა ბრინჯიო?

— გლავკობრინჯი! სათანადო მინდატებიც მაქვს მოცემული სოენარხოზისაგან.

— რისთვის გარჯილხართ, რა გნებათ?

— მოგეხსენებათ რომ წითელი რუსეთი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ლენინის 50 წლის იუბილეს იხდის.

— მეჩე?

— იუბილეს უნდა მივცეთ აღმოსავლეთური,

საბჭოთა ბურჟუები



კამენევი და რადეკი.

აზიური ხსიათი. უნდა დავამზადოთ მოსკოვისათვის ერთი თვის საკვები ფლავი. მოგეხსენებათ მოსკოვი, როგორც სოციალიზმის სამეფო, ბრინჯს და სხვა ამის მსგავს აზიურ საქმელებს მოკლებულია. ამიტომ დავადგინეთ მოგვეცეთ თქვენ ათი ათასი ტომარა ბრინჯი; ნარხობი დარწმუნებულია რომ თქვენ, როგორც ლიდერი საბჭოთა სპარსეთისა დააკმაყოფილებთ მის თხოვნას.

— მოახსენეთ ამხანაგ ნარხობს, რომ მე როგორც სპარსელი მონატრული ვარ იმისი, რომ ჩემი ქვეყნის მშრომელ ხალხს არაფერი აკლდეს და კმაყოფილი იყოს თავის ბედისა. ამიტომ, არ შემიძლია თხოვნა აფასრულო. უკეთუ წითელი რუსეთი ბრინჯის საფასურათ გამოგზავნის რაიმე ღირებულებას, მაგალითად: ოქროს, ვერცხლს ან კიდევ სხვა ამის მზავს ღირებულებას, მაშინ...

— რუსეთის სოციალიზმის სახელით, გიცხადებ ამხანაგო ქურჩუკ რომ სპარსეთის ბრინჯი საკუთრებას შეადგენს, როგორც სპარსეთისას ისე წითელ რუსეთისას, განა სოციალიზმის მიზანი არ არის...

— არავითარი მიზანი! — გააწყვეტინა ქურჩუკმა

— ეს თქვი დ. გათავდა. მე მუქთათ არც ერთ მარცვალს ბრინჯს არ მივცემ მოსკოვს.

გლავკობრინჯმა ბევრი დებულებები დახარჯა რომ სპარსეთის ბრინჯის ნაწილი რუსეთს ერგებოდა, მარა არავითარმა საბუთმა არ გაჭრა ჯერ ქურჩუკ-ხანთან, რამაც ნათელყო მისი კონტრ-რევოლუციონერობა.

მეტი რა გზა იყო, „გლავკობრინჯი“ ცარიელი ტომრებით დაბრუნდა ბაქოში.

8

ქიშმიშის დასარჩევით მოსკოვის რევკომმა განსაკუთრებული „ქიშმიშის სუბონტრიკი“ გამოაცხადა. გარჩევას უკეთ კარგი ხანია რაც მორჩენ, ჯერი ბრინჯზე იყო მიმდგარი.

მოსკოვის მუშებმა 10 საათის მაგიერ 14 საათს მუშაობა შემოიღეს იმდენათ გაახარა ისინი ქიშმიშის მიღებამ და ბრინჯის მოლოდინმა, მაგრამ, როცა ბრინჯმა ძალიან დაიგვიანა, მაშინ კი დაფიქრდნენ, ნუთუ მოატყუილა მოსკოვი ბაქომ? ნუთუ ფლავს ვედარ ვჭამთ? ისმოდა აქა იქ უკმაყოფილო ხმა მუშებისა, მაგრამ საქის ნამდვილი

ვითარება მანამ ვერ გაიგეს სანამ მოსკოვში არ ჩავ-და ბაქოს „გლავკობრინი“ კლუბმა მიტიუხინი ჩომელოც სამწუხარო ამბავი ჩაუტანა მოსკოვს.

— სპარსეთის კონტრ-რევოლიუციონერმა ქუჩუკ ხანმა ცივი უფარი სთქვა ბრინჯის მოცემებზე — განუცხადა კლუბამ სოფნარხოზს.

მიზეზით რა მოიყვანა ამხანაგო!?

— თუ ოქროს ან ვერცხლს მომციმს რუსეთი მაშინ მივცემ ბრინჯსაო, თუ არადა მე სპარსელ ხალხს ვერ გავძარცვ მოსკოვისთვის.

ამ ამბავმა თავხარი დასცა მთილ მოსკოვს.

ფლავის ლოდინში ყველას ნერწყვი ჰქონდა პირზე მომდგარი, მოიწვიეს შეერთებული კუნთა ნარ-

კომებისა, ნარხოზებისა, გლავკონებისა და სხვა დაადგინეს გამოუცხადონ ქუჩუკ ხანს სასტიკი პროტესტი მოსკოვის პროლეტარიატის უფლოვით დატოვების გამო თან წაუყენონ მას ულტიმატუმი დაუყოვნებლივ გამოგზავნოს 10000 ტონარა ბრინჯი წინააღმდეგ შემთხვევაში სპარსეთი მოლაღატე იქნება სოციალიზმისა და დაისჯება.

კრება დაიშალა კრების ყველა წევრი დღონებული წაიდა შინისკენ, არც ფლავით გაძლომის იმედი ქონდათ, და არც ქუჩუკ ხანის მოქცეიანებისა.

გ. ბომბოთელი.

ორი ტაკი-მასხარა Два Клоуна



ორის ტაკი მასხარა. (სოფლების ტაკი-მასხარას) ეს ჩემი ქუდა რომ დაგიურავს, მითომ რაო არა გცხვენია, კონკურენციას რომ მიწევ და ლუკვა პურს შეკიდები?

Клоунъ изъ цирка. Апчи! Ку-ку-реку! Здравствуй Ревкомъ Совнархозовичи! Ну, какъ у тебя тамъ... въ Башкѣ... то бишь въ Башкири... все ладно, а?